

როგორ განვაავითაროთ დაწყებითი საფეხურის მე-6 კლასის
მოსწავლეებში საქართველოს კულტურული მრავალფეროვნებისა და
განსხვავებულობისადმი აღქმა და მიმღებლობა საზოგადოებრივი
მეცნიერებების სწავლებისას

ნათია მახარაძე
ნინო მაჭარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო
და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (საზოგადოებრივი
მეცნიერებების მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის
/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი)
სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მალაზონია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია მახარაძე

ნინო მაჭარაშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ თბილისის კერძო სკოლა „თანამედროვე განათლების აკადემიაში“ (CEA) ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. პედაგოგთან შეხვედრის შემდეგ შეირჩა კლასი (VI) და საკვლევი საკითხი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინკერკულტურული განათლების ასპექტების კერძოდ, საქართველოს კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის აღქმისა და მიმღებლობის განვითარება მეექვსე კლასის მოსწავლეებში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა საკვლევი კითხვები:

- ❖ როგორია მეექვსე კლასელ მოსწავლეთა ინტერკულტურული განათლების კომპეტენციების დონე (აღქმა და მიმღებლობა);
- ❖ რა ფაქტორები უშლის ხელს ინტერკულტურული განათლების კომპეტენციების, აღქმისა და მიმღებლობის განვითარებას;
- ❖ რა სახის ინტერვენციების განხორციელებაა საჭირო მოსწავლეებში საქართველოს კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობისადმი აღქმისა და მიმღებლობის განვითარებისათვის.

საკვლევი პრობლემის დიაგნოსტიკისათვის გამოვიყენეთ კვლევის შერეული, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები. რაოდენობრივიდან – კითხვარი მასწავლებლებთან, პრეტესტი და პოსტტესტი მოსწავლეებთან, თვისობრივიდან – სადიაგნოსტიკო გაკვეთილი, ჩაღრმავებული ინტერვიუ პედაგოგთან.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული განათლების ასპექტები არც ისე დაბალ დონეზეა, თუმცა გამართლდა პედაგოგთან კონსულტაციის დროს გამოკვეთილი ვარაუდი, მოსწავლეთა საქართველოში არსებული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულისადმი აღქმისა და მიმღებლობის შედარებით დაბალ დონეზე. მოსწავლეებს აქვთ ნაკლები ცოდნა საქართველოში მცხოვრებ განსხვავებულ კულტურებზე. სახელმძღვანელოს ანალიზმა აჩვენა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს საჭირო ცოდნით და ნაკლებად უწყობს ხელს ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს არ აქვთ შეხება საქართველოში

მცხოვრებ განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებთან. იშვიათად მონაწილეობენ კლასგარეშე ღონისძიებებში ინტერკულტურული განათლების კუთხით.

კვლევაში აღწერილია ინტერკულტურული განათლების ასპექტების – აღქმისა და მიმღებლობის განვითარებისათვის ჩატარებული ის ინტერვენციები – მრავალფეროვანი მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ეფექტურად მივიჩნიეთ. კვლევამ დაადგინა, რომ საკლასო და კლასგარეშე ჩატარებული აქტივობები, ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერკულტურული განათლების ასპექტების (აღქმისა და მიმღებლობის) განვითარებას. ინტერვენციების ანალიზის შედეგად შევიმუშავეთ რეკომენდაციები, იმისათვის რომ აღწერილი კვლევა იყოს გამოყენებადი და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებს გაუადვილოს მუშაობა ინტერკულტურული განათლების კუთხით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინტერკულტურული განათლება, კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა

Abstract

The present work is a report on the practice research conducted by the Tbilisi Private School "Contemporary Education Academy" (CEA). The class was selected (VI) after meeting with the teacher, and with it the subject of study. The main purpose of the study is to research intercultural aspects of education. In particular perception of cultural diversity and differentiation of Georgia in the sixth grade pupils. Based on the goals of research, the study questions were developed:

- ❖ What is the level of competences of intercultural education in sixth grade pupils (perception and reception);
- ❖ What factors prevent the development of competences, perceptions and recognition of intercultural education;
- ❖ What kind of interventions are necessary for the development and recognition of cultural diversity and differentiation of Georgia in pupils.

For the diagnosis of the study problem we have used mixed research methods, also quantitative and qualitative methods. We used questionnaire with teachers and posttest with pupils from quantitative method of research and diagnostic lesson and in-depth interview with a teacher from qualitative method of research.

Study showed that the intercultural education aspects in pupils are not very low, but during consultation with teacher the speculative assumption was justified. Perception and reception of cultural diversity and differentiation of Georgia was low in pupils. They have limited knowledge about different cultures living in Georgia. The analysis of the material showed that it can't provide pupils with necessary knowledge and it does not support the formation of tolerant attitudes. Pupils don't have any type of relation with different cultural groups living in Georgia. They rarely participate in extracurricular activities in terms of intercultural education.

Various methods and approaches are described in the study, which we considered effective and is necessary for the aspects of intercultural education, and development for its perception

and reception. The study found that classroom and extracurricular activities supports the development of intercultural education aspects in pupils (also its perception and reception). From the results of interventions analysis we have prepared recommendations in order to researched study should be useful and supportive for the teachers of social sciences and make it easier for them to work on intercultural education.

Kay Words: Intercultural education, Cultural diversity, tolerance.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ დავით მალაზონიას, ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს ბატონ მიშა ტეფნაძეს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენთან თანამშრომლობისათვის.

მადლობას ვუხდით კერძო სკოლა „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მეექვსე კლასის მოსწავლეებს პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობის, თანადგომისა და აქტიურობისათვის.

მადლობას ვუხდით მარნეულის N2 საჯარო სკოლის პედაგოგს, ბატონ თემო სუყაშვილსა და მის სადამრიგებლო მეექვსე კლასის მოსწავლეებს, პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობის, მასპინძლობისა და ინტერვენციის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის.

მადლიერებას გამოვხატავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, ქალბატონ ნინო ჭიაბრიშვილსადმი, სასარგებლო და საჭირო რჩევებისა და ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გაწეული დახმარებისათვის.